

ლია საზოგადოების ფონდი

თბილისი, 2022 წლის ნოემბერი

სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის მიმართ საჩივრების ეფექტური გამოძიების თვალსაზრისით არსებული გამოცვევები

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი:

გურამ იმარევი*

სოციალური სამართლიანობის
ცენტრის სახელით



დოკუმენტი მომზადებულია „ლია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირი-საქართველოს შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

ცინასიტყვაობა

საქართველოს სამართალდამცავ სისტემასა და პენიტენციურ დაწესებულებების წლების განმავლობაში სერიოზული პრობლემა იყო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და არასათანადო მოპყრობა. ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო საჯარო დემონსტრაციების დროს არაპროპორციული ძალის გამოყენება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გზით მოწმის ჩვენებების მიღება და წამება ციხეებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში. სახელმწიფოს არაადეკვატურმა რეაქციამ კიდევ უფრო გააძლიერა არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების გადამეტების პრობლემა, რაც გამოიხატებოდა მტკიცებულებების შეგროვების გაფიანურებაში, ცალმხრივი და ფორმალური გამოძიების ჩატარებაში, სამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და ზოგადად, დამნაშავის დაუსჯელობაში.¹ სახელმწიფოს არაეფექტურიანმა რეაგირებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა სისტემაში დაუსჯელობის პრობლემა.² შესაბამისად, სამართლდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიზნით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2015 წლის ანგარიშში გამოავლინა პრობლემები ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე სახელმწიფოს არაეფექტურიან რეაგირებასთან დაკავშირებით. ეს პრობლემებია: დამოუკიდებელი გამომძიებლების ნაკლებობა, პროკურატურის ნები და დაგვიანებული რეაგირება სახალხო დამცველის საჩივრებზე, მტკიცებულებების მოპოვების პროცესის გაფიანურება და ა.შ.³ საქართველოს სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში ამახვილებს ყურადღებას დამოუკიდებელი გამოძიების კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

*გურამ იმარევი სოციალური სამართლიანობის ცენტრის (ყოფილი EMC) გუნდს 2013 წლიდან შეუერთდა, ხოლო 2019 წლიდან არის დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა პროგრამების დირექტორებთან ერთად ხელმძღვანელობს ორგანიზაციას. ის უშუალოდ პასუხისმგებელია მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის მართვასა და კოორდინირებაზე. პროგრამის მზანია ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის მართვაზე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, სამართლიანი და მაღალი სოციალური მგრძნობელობის მართლმსაჯულების სისტემის შექმნის ხელშეწყობა და რეალური ანგარიშვალდებულების მქონე სამართლდამცავი სისტემის შექმნა. როგორც პროგრამის დირექტორი, გურამი პასუხისმგებელია პროგრამის პოლიტიკის, სტრატეგიისა და პოზიციონირების დაგეგმვასა და პროგრამის გუნდთან ერთად მის განხორციელებაზე. მის ფუნქციებში ასევე შედის პროგრამის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზება, პროგრამის გუნდის საქმიანობის კოორდინაცია, გუნდის მართვა და მისა წევრების მხარდაჭერა.

კერძოდ, ამ ანგარიშებში აღინიშნა: ინსტიტუციური კავშირი გამომ-ძიებლებსა და პრალდებულებს შორის; ზენოლის ან ძალადობის ქვეშ მყოფი პირები არ იყვნენ აღიარებული მსხვერპლად და არ ჰქონდათ წვდომა საქმის მასალებზე; გამოძიება და სამართლებრივი დევნა დაიწყო არაადეკვატური და მსუბუქი პრალდებებით.⁴ გარდა ამისა, ადა-მიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღ-მდეგ რამდენიმე საქმეში დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა და აღნიშნა, რომ გამოძიება მძიმე დარღვევით მიმდინარეობდა.⁵

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევისა და სახელმწიფოს არაეფექტია-ნი რეაგირების გამო, საჭირო გახდა შესაბამისი კომპეტენციებით, მან-დატითა და ბერკეტებით აღჭურვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ჩამოყალიბება. სამართალდამცავი ორგანოების წარმომად-გენელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების დამოუკიდებელი და ეფექტია-ნი გამოძიების უზრუნველყოფა ასევე გათვალისწინებული იქნა ასოცი-რების შესახებ შეთანხმებასა⁶ და მის დღის წესრიგებში.⁷ შესაბამისად, 2018 წლის გაზაფხულზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელ-მწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლითაც გაუქ-მდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური და მის სამართალმემკვიდრედ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჩამოყა-ლიბდა. ახლად შექმნილ უწყებას მიერიქა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი კონკრე-ტული დანაშაულების მანდატი.

კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისას არასამთავრობო ორგა-ნიზაციები და საქართველოს სახალხო დამცველ ყურადღებას რამდე-ნიმე გამოწვევაზე ამახვილებდნენ, რომლებიც ორგანოს ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ამცირებდა:

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური რჩებოდა ინტენსიური საპროკურორო ზედამხედველობის ქვეშ და მას არ ენიჭებოდა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების (ჩერქეა, ამოღება, შემოწმება...) პროკურორის თანხმობის გარეშე ჩატარების უფ-ლება;
- ინსპექტორის მანდატი მოიცავდა სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეზღუდულ წუსხას;
- გენერალურ პროკურორს უნარჩუნდებოდა საქმეების (მათ შო-რის ინსპექტორის მანდატით გათვალისწინებული საქმეების) ერთი საგამოძიებო ორგანოდან მეორისთვის დაუსაბუთებლად გადაცემის უფლება;
- სახელმწიფო ინსპექტორის მანდატში არ შედიოდა გენერალური პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფრო-სის მიერ ჩადენილი დანაშაულები.⁸

კანონპროექტის განხილვებისას არც ერთი ეს საკითხი არ იქნა გათვა-ლისწინებული და საქართველოს პარლამენტმა კანონი 2018 წლის ივ-ლისში მიიღო. ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მოვალეობების გააქტიურება ოთხჯერ გადაიდო 2019 წლის 1 ნოემბრამდე. გადადების მთავარი მიზეზი მთავრობის მიერ სამსახურის არასაკმარისი დაფინან-სება იყო. შედეგად, ამ პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუ-რის მანდატში შემავალი არაერთ გახმაურებულ საქმეზე გამოძიებას სხვა სამართალდამცავი ორგანოები ანარმოებდნენ.⁹

¹ თომას პამარბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა ასპექტის შესახებ: არსებული მდგომარეობა, გადადგმული ნაბიჯები და დარჩენილი გამოწვევები“, 2013 წლის სექტემბერი, გვ. 20, ხელმისაწვდომის შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2HGlPnP>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტოს.

² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2011 წ., 215.

³ ნამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ანგარიში საქართველოს მთავრობას ნამებისა და არაადამიანური ან დაბამცირებელი მოყრილის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2015 წლის 31 დეკემბერი, გვ. 20, ხელმისაწვდომის: <https://bit.ly/3zoiLnCB>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2018, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3vMOWMg>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

⁵ ამ კუთხით განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“, 2020 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/37cMbHc>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ ქვეყნებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2Xe5UUf>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

⁷ იხ. ასოცირების დღის წესრიგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის, 2014-2016 წლები, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3B2MiOH>, ასევე, ასოცირების დღის წესრიგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის, 2017-2020 წლები, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3Rb59DY>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

⁸ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმასაჯულებისთვის“ კოალიციის კომენტარები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონის პროექტზე, 2018 წლის 25 პრილი, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3o4TqHM>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო. იხ., აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2017 წლის 21 აგვისტო, გვ. 59-60.

⁹ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმასაჯულებისთვის“ კოალიციის განცხადება, 2019 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომისა შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3COYGrk>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

2021 წლის დეკამერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

2019-2021 წლებში არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების მიერ სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობა დადებითად იყო შეფასებული. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა თავისი საქმიანობის ფარგლებში 5500-ზე მეტი შეტყობინება მიიღო და ამ ხნის განმავლობაში რვა სამართალდამცავი იქნა მსჯავრდებული. სამსახურმა სწრაფად და ეფექტურად იმუშავა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიმართ შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, რომელთა გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. გარდა ამისა, ინსტიტუტზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ პრაქტიკაში არ გამოვლენილა ნაკლოვანებები პერსონალური მონაცემების დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციების თავსებადობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, 2021 წლის 25 დეკემბერს მმართველმა პარტიამ წარადგინა კანონპროექტი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებისა და მისი ორი დამოუკიდებელი უწყებით – სპეციალური საგამოძიებო სამსახურითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურით – ჩანაცვლების შესახებ. პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა 2021 წლის 27 დეკემბერს დაიწყო, სამი მოსმენა გამართა და შესწორებული კანონი 2021 წლის 30 დეკემბერს მიიღო. ცვლილებებს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი 2022 წლის 13 იანვარს მოაწერა. პროექტი ინიცირებული და პარლამენტში განხილული იქნა განსაკუთრებით დაჩქარებული წესით და დაინტერესებულ მხარეებს არ მიეცათ ადეკვატური შესაძლებლობა თავიანთი მოსაზრებების გამოსახატავად. თავად სახელმწიფო ინსპექტორი არ იყო ჩართული კანონპროექტის შემუშავებაში და მან სამსახურის გაუქმების შესახებ მედიის საშუალებით შეიტყო.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია არასამთავრობო ორგანიზაციების 2018 წლის ერთობლივი განცხადება, რომელშიც გამოთქმულია შემფოთება ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შესახებ ერთი უწყების ფარგლებში საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციების გაერთიანებასთან დაკავშირებით.¹⁰ თუმცა ეს განცხადება სამსახურის ამოქმედებამდე გაკეთდა. 2021 წლის 26 დეკემბერს ამ განცხადების ავტორებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც აღნიშნეს, რომ „ინსტიტუტზე დაკვირვებამ ნათლად აჩვენა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციების თავისებადობის კუთხით პრაქტიკაში ხარვეზი არ გამოვლენილა.“¹¹ კანონპროექტთან დაკავშირებულ განმარტებით ბარათში არ იყო ნახსენები შემდგომი კვლევა ან მონიტორინგის ანგარიში, რომელიც დაადასტურებდა სამსახურის რეფორმირების საჭიროებას. შესახებ, ასევე არ იყო წარმოდგენილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება.

კანონპროექტის მომზადების დაურული ხასიათი და პარლამენტში უკიდურესად ნაჩქარევი განხილვა მწვავედ გააკრიტიკეს სამოქალაქო საზოგადოებამ,¹² საქართველოს სახალხო დამცველმა,¹³ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა,¹⁴ ევროკავშირის წარმომადგენლობაში თბილისში,¹⁵ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა¹⁶ და აშშ-ის საელჩომ საქართველოში.¹⁷ მოგვიანებით საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური საჩივრები შეიტანეს საქართველოს სახალხო დამცველმა და თავად სახელმწიფო ინსპექტორმა. საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკა სამ ძირითად პრობლემაზე იყო მიმართული:

- კანონპროექტის განხილვის დაჩქარებული წესი და საკანონმდებლო ცვლილებების დასაბუთების არასებობა;

¹⁰ იხ. განმარტებითი ბარათი კანონპროექტთან დაკავშირებით: <https://rb.gy/jwzvgc>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹¹ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, 2021 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3B8Ghac>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹² არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, 2021 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3B8QVNn>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების მცდელობასთან დაკავშირებით, 2021 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3q8QvNn>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹⁴ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი: „საქართველოს პარლამენტმა უნდა უარყო კანონპროექტი, რომელიც არცვეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას“, 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/easvo>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹⁵ „ევროკავშირის წარმომადგენლობა ებაზრულია დაჩქარებულ პროცედურებს საქართველოს პარლამენტში, რომლებიც ეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და სასამართლო სისტემას,“ 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/qcfqmb>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹⁶ „გეროვანის წარმომადგენლობა ებაზრულია დაჩქარებულ პროცედურებს საქართველოს პარლამენტში, რომლებიც ეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და სასამართლო სისტემას,“ 2021 წლის 28 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/adlaqe>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹⁷ აშშ-ის საელჩოს განცხადება მმართველი პარტიის ნაჩქარევი, წლის ბოლოს მიღებული კანონმდებლობის შესახებ, 2022 წლის 3 იანვარი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/ziva2o>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

- სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილების დაუყოვნებლივ და დაუსაბუთებლად შეწყვეტა;
- ის ზეგავლენა დამოუკიდებელ ინსტიტუტებსა და ადამიანის უფლებების დაცვაზე საქართველოში, რაც ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას მოჰყვება.

ცვლილებების შემუშავების ნაჩერევმა ხასიათმა და დაჩერებულმა საპარლამენტო მოსმენებმა გააჩინა განცდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტური მისამართის შეღავის ბოროტი განზრავების შესახებ. ამას ამყარებს ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორს და მის მოადგილებს უფლებამოსილება სათანადო საპროცესო გარანტიების გარეშე შეუწყდათ. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 7 დეკემბერს ინსპექტორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გამო ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა. ეს კონტექსტი ამყარებს ეჭვებს პოლიტიკური ანგარიშსნორების შესახებ ინსტიტუტის მიმართ, რომელმაც ბოლო წლებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საზოგადოების ნდობა მოიპოვა.¹⁸ გარდა ამისა, დაუსაბუთებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის ვადამდე შეწყვეტამ სათანადო საპროცესო გარანტიების გარეშე, შექმნა სახიფათო პრეცედენტი საქართველოში სხვა დამოუკიდებელი ორგანოების ხელმძღვანელების თანამდებობრივ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.

რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, პარლამენტმა ბოროტად გამოიყენა საკანონმდებლო პროცესი და რეფორმის დამაჯერებელი დასაბუთების გარეშე, კანონპროექტი უკიდურესად დაჩერებული წესით მიიღო. ამან გააჩინა კითხვები კანონშემოქმედებითი პროცესის ლეგიტიმურობის შესახებ, რაც საზიანოა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისა, განსაკუთრებით სიცოცხლისა და წამებისგან თავისუფლების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის თვალსაზრისით.¹⁹

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წინაშე მდგრმი ამჟამინდებული გამოცვევები

ახლად შექმნილი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პირველი კვარტალური ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით პერიოდში სამსახურმა დანაშაულის შესახებ 767 შეტყობინება მიიღო.²⁰ აქედან 664 შეტყობინება (87%) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იყო.²¹ შეტყობინებათა დიდი უმრავლესობა (67%) არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს; შეტყობინებათა 11%-ში სამსახურმა დაიწყო გამოძიება, 4% გადაეგზავნა სხვა უწყებას, ვინაიდან ისინი არ შედიოდა სამსახურის საგამოძიებო იურისდიქციაში, 6% მიჩნეული იქნა დამატებით ინფორმაციად სისხლის სამართლის საქმებზე, რომლებზეც სამსახური გამოძიებას უკვე ანარმობდა; შეტყობინებათა 8%-ის შემთხვევაში პროცედურები უკვე დაწყებულია, ხოლო 4%-ის შემთხვევაში დაზარალებულებმა უარყვეს შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია.²² 2022 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით პერიოდში დაწყებული გამოძიებებიდან 55 სისხლის სამართლის საქმე ეხებოდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ან მოხელის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს.

ამავე პერიოდში გენერალურმა პროკურატურამ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის იურისდიქციის ქვეშ მყოფი გამოძიების საფუძველზე, 11 პირის მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა. აღნიშ-

¹⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესალო გაუქმებასთან დაკავშირებით, 2021 წლის 26 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/3B8Ghac>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

¹⁹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, დასკვნა საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, 2022 წლის 18 თებერვალი, პუნქტებზე 36-40 ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/sv1gy>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

²⁰ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პირველი კვარტალური ანგარიში, 2022 წელი, გვ. 20. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/vt7deg>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

²¹ იქვე, გვ. 27.

²² იქვე, გვ. 30.

ნული 11 პირიდან ორი შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომელია, ერთი სასაზღვრო პოლიციის ინსპექტორი, ერთი სასაზღვრო პოლიციის წამყვანი სპეციალისტია, ერთი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველია, ერთი საპატრულო პოლიციის თანამშრომელია, ერთი სამხედრო პოლიციის თანამშრომელია, ერთი სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაცვის ინსპექტორია, ხოლო სამი – კერძო პირია.²³ ამ ეტაპისთვის, მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები არ არის საქმარისი სამსახურის მუშაობის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე კრიტიკულ სურათს იძლევა.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის რეალური ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის, სამსახურის უფროსი უნდა შეირჩეს იმგვარი პროცედურების საფუძველზე, რომლებიც იძლევა მისი დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური წეიტრალიტეტის გარანტიას. შეირჩევის საწყის ეტაპზე, კანდიდატებს პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი კომისია წარუდგენს პარლამენტს. კომისიის წევრები არიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ან მოადგილე, სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის მიერ შეირჩეული არაკომერციული იურიდიული პირის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს გამოცდილება ადამიანის უფლებების ან პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში.²⁴ საქართველოს კანონმდებლობა ყოფილ, ან მოქმედ სამართალდამცავებს კონკურსში მონაწილეობას არ უკრძალავს. კანდიდატების მიმართ მოთხოვნაა სისხლის სამართლის ნასამართლობის არარსებობა, უმაღლესი იურიდიული განათლება, არანაკლებ ხუთი წლის პროფესიული გამოცდილება და მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაცია.²⁵ კომისია ირჩევს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს არანაკლებ ორ და არა უმეტეს ხუთ კანდიდატს, მათგან ორ კანდიდატს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი უბრალო უმრავლესობით იღებს.

სამსახურის უფროსის დანიშვნის არსებული მოდელი არ იძლევა საკმარის გარანტიებს დაწესებულებაზე პოლიტიკური ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად. კომისიაში კანდიდატების შეირჩევის პირველ ეტაპზე პოლიტიკური ზეგავლენა ჭარბობს, რადგან კომისიაში მმართველი პარტიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლობაა; შემდეგ პრემიერ-მინისტრი იღებს მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას პარლამენტისთვის კანდიდატების წარდგენის შესახებ და პარლამენტში საბოლოო გადაწყვეტილებასაც უმრავლესობა იღებს. შესაბამისად, არსებული პროცედურები არ მოითხოვს უფრო მნიშვნელოვან პროფესიულ ან პოლიტიკურ კონსენსუსს დასანიშნ კანდიდატთან დაკავშირებით.

გარდა შეირჩევისა და დანიშვნის პროცესზე პოლიტიკური ზეგავლენისა, პრობლემაა ისიც, რომ არსებული კანონმდებლობა არ გამორიცხავს ყოფილი ან მოქმედი სახელმწიფო მოხელეების, ან სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების არჩევას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსად. გასაკვირი არ არის, რომ სამსახურის ახლად დანიშნული უფროსი – კარლო კაციტაძე – გენერალური პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანია. ბ-ნი კაციტაძე პროკურორად 2009 წლიდან 2022 წლამდე მუშაობდა. 2013-2015 წლებში იყო მთავარი პრო-

²³ იქვე, გვ. 25.

²⁴ კანონი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, მუხლი 6¹.

²⁵ იქვე.

კურატურის საგამოძიებო სამსახურის საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსი. იმ პერიოდში და შემდგომში, ბ-ნი კაციტაძე პასუხისმგებელი იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და დევნაზე.²⁶

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადა ექვსი წელია და ერთი და იმავე პირის ზედიზე თრი ვადით არჩევა აკრძალულია. დადგენილი ექვსწლიანი ვადა შეესაბამება „კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორები“-ს (EPAC) სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, სამსახურის უფროსი უნდა აირჩეს მინიმუმ ხუთი და მაქსიმუმ 12 წლის ვადით.²⁷ კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ საფუძვლებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის უფლებამოსილების²⁸ ვადამდე შეწყვეტისთვის. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. ამ მხრივ, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. იგივე გარანტიებს უზრუნველყოფდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონიც, მაგრამ მის გაუქმებასთან ერთად, პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებაც შეწყვიტა. ვინაიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური წარმოადგენს ინსპექტორის სამსახურის სამართალმექვიდრეს საგამოძიებო მანდატისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სერიოზულ შეშფოთებას იჩვევს ყოფილი ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლება სათანადო დასაბუთებისა გარეშე. როგორც ზემოთ აღინიშნა, უკიდურესად სახიფათო პრეცედენტი იყო საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, დამოუკიდებელი ორგანოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ავტომატურ რეაქტიში.

დამოუკიდებლობა საქმიანობისას და შესაძლებლობები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედების შემდეგ ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება. იყო მოწოდებები, გაზრდილიყო უწყების დამოუკიდებლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და გაფართოებულიყო მისი კომპეტენცია. სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციური გაძლიერების აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის გადაწყვეტილებაში ცინცაბაძის ჯგუფის საქმეზე, ასევე გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაციებში. თავად სახელმწიფო ინსპექტორი საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებში გამუდმებით მიუთითებდა აპარატის შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობაზე.²⁹

2022 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც გააუმჯობესეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა სოციალური და სამართლებრივი დაცვა. ასევე, სამსახურის უფროსის მოადგილეს მიენიჭა უფლება, პროკურორს მიმართოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ.³⁰ გარდა ამისა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს მიეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წინასწარი წებართვის გარეშე შესვლის უფლება.³¹ აღნიშნული ცვლილებები ზრდის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოძიებული დანაშაულების მოწმეთა და მსხვერპლთა სამართლებრივ გარანტიებს, მაგრამ საჭიროა შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები იმისათვის, რომ სამსახურს ჰქონდეს რეალური ფუნქციური დამოუკიდებლობა.

²⁶ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/byzx4u>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

²⁷ „კორუფციის წინააღმდეგ ევროპელი პარტნიორები“, „პოლიციის ზედმებედებელობის პრინციპები“, 2011 წლის ზოგმბერი, პუნქტი 2.2.5. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gy/fpocy>, ნანახია: 2022 წლის 30 აგვისტო.

²⁸ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონის მუხლი 9¹ ადგენს შემდეგ საფუძვლებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთვის: ა) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; ბ) ჯამშირთელობის მდგომარეობის გამოზედიზე თოხო თვის განმავლობაში თავის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა; გ) ინსპექტორის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესლება; დ) სასამართლოს მიერ ინსპექტორის ცონბა მსარდაჭერის მიმღებად, ალიარება უზრუნველყოდ დაკარგულად ან გამოცხადება გარდაცვლილად; ე) სახელმწიფო ინსპექტორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; ვ) თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა; ზ) გარდაცვალება. არსამათავრობობობის მიმღებად, ალიარება უზრუნველყოდ დაკარგულად ან გამოცხადება გარდაცვლილად; ე) სახელმწიფო ინსპექტორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; ვ) თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა; ზ) გარდაცვალება.

²⁹ არსამათავრობობის მიმღებად, ალიარება უზრუნველყოდ დაკარგულად ან გამოცხადება გარდაცვლილად; ე) სახელმწიფო ინსპექტორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; ვ) თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა; ზ) გარდაცვალება. არსამათავრობობის მიმღებად, ალიარება უზრუნველყოდ დაკარგულად ან გამოცხადება გარდაცვლილად; ე) სახელმწიფო ინსპექტორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება; ვ) თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომა; ზ) გარდაცვალება.

³⁰ კანონი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“, მუხლი 19. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 60.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები მნიშვნელოვნად ექვემდებარებიან შესაბამის პროექტორს გამოძიების დროს. საპროცესო ზედამხედველობის ფარლგებში, პროექტორი კვლავ ფლობს გადაჭარბებულ უფლებამოსილებას გამოძიებაზე. პროექტორი აქტიურად მონაწილეობს საგამოძიებო პროცესში, იღებს ინფორმაციას საქმის წარმოების შესახებ, ხშირად გეგმავს საგამოძიებო სტრატეგიას და გამომძიებლებს აძლევს სავალდებულო მითითებებს. კანონმდებლობა საშუალებას აძლევს პროექტორს, საქმეში მონაწილეობა მიიღოს გამომძიებლის სტატუსით და ამ შემთხვევაში, მას გამომძიებლის ყველა უფლება აქვს.³² გარდა ამისა, პროექტორს აქვს ექსკულუზიური უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებაზე, რომლებიც ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებს. პროექტორი ასევე უფლებამოსილია, არ მისცეს გამომძიებელს საქმის გამოძიების უფლება და საქმე სხვა გამომძიებელს გადასცეს.³³ გარდა ამისა, გენერალურ პროექტორს უფლება აქვს, საქმე ერთი საგამოძიებო უწყებიდან (მაგალითად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან) გადასცეს სხვა უწყებას.³⁴ პროექტორის ასეთი ფართო ჩატარების გამოძიებაში აფერხებს სამსახურის ფუნქციურ დამოუკიდებლობას და ბადებს ლეგიტიმურ კითხვებს მის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, საფუძვლიანად და ობიექტურად გამოიძიოს დანაშაულები, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილია პროექტორების ან სხვა სამართალდამცავი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ.

გარდა საკანონმდებლო გარანტიებისა, სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ასევე აუცილებელია მისი ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსებით აღჭურვა. ალსანიშნავია, რომ 2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს არა მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ჩადენილი არასათანადო მოპყრობის დანაშაულებს, არამედ ძალადობრივ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ, როდესაც ისინი არ ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, უწყების გაზრდილი კომპეტენცია მოიცავს დანაშაულთა ისეთ დანაშაულებს რომლებიც სიტყვის თავისუფლების დარღვევას, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას და საარჩევნო უფლების დარღვევას.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი შეიძლება იყოს როგორც საჯარო მოხელე, ასევე რიგითი მოქალაქე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დატვირთვა ადრინდელ მდგომარეობასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება. მიუხედავად ამ გაზრდილი დატვირთვისა, პარლამენტმა 2021 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებში არ გაუზარდა სამსახურს ფინანსური რესურსები. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პირველ კვარტალურ ანგარიშში დაწესებულების წინაშე მდგომ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საკმარისი საბიუჯეტო რესურსების ნაკლებობა არის მიჩნეული.³⁵

რეკომენდაციები

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ფუნქციური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- უნდა შეიცვალოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის დანიშვნის წესი უფრო კონსენსუსზე ორიენტირებული პროცედურებით. ამ მიზნით პარლამენტმა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კვალიფიციური (შესაძლოა, 3/5-ის) უმრავლესობით;

³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33.

³³ იქვე.

³⁴ იქვე.

³⁵ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პირველი კვარტალური ანგარიში, 2022 წელი, გვ. 17. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rb.gv/vt7deg>, ნანახა: 2022 წლის 30 აგვისტო.

- სამსახურის მანდატი უნდა გავრცელდეს შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისა და გენერალური პროკურორის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე;
- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს უნდა მიენიჭოს უპირატესი იურისდიქცია ნებისმიერ ისეთ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც გამოძიების პროცესში ინტერესთა კონფლიქტის რისკი არსებობს. ამგვარი იურისდიქცია სამსახურს მისცემს უფლებამოსილებას, გაავრცელოს საკუთარი მანდატი სენიტიურ საქმეებზე, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა მისი იურისდიქციის მიღმა დარჩეს;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს უნდა მიეცეთ უფლება, დამოუკიდებლად მიიღონ ადამიანის უფლებების შემზღვდავი საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარებაზე; მათ შორის ჩხრეკისა და ამოღების, ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შესახებ და ა.შ.
- უნდა გაუქმდეს გენერალური პროკურორის მიერ სამსახურის საგამოძიებო მანდატში შემავალი საქმეების სხვა უწყებებისთვის გადაცემის შესაძლებლობა;
- აუცილებელია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, რათა ეფექტურად განახორციელოს თავისი მოვალეობები.